

**ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**დადგენილება N17**

**1 ივლისი 2016 წ.**

**ქ. ყვარელი**

**„ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

**მუხლი 1**

„ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 თებერვლის N5 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 010250050.35.164.016212; 23/02/2016), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ერთჯერადი ფულადი დახმარება მოქალაქეებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 57-120 ათას ქულას, 50-100 ლარის ოდენობით, (გამონაკლისია მარჩენალდაკარგული და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები - სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე)“.

2. დადგენილების მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. მედიკამენტების შესაძენი თანხით დახმარება: პირველი ჯგუფის ინვალიდებს, მძიმე დაავადებით დაავადებულ პაციენტებს გადაუდებელი საჭიროების დროს 50 - დან 100 ლარის ოდენობით (გამონაკლისია ონკოლოგიური და ძვირადღირებული თერაპიის შემთხვევები - სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე)“.

3. დადგენილების მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 პუნქტი:

„15. იშვიათი, თანდაყოლილი, მძიმე პათოლოგიის (ჰემოფილია, ცელიაკია, ფენილკეტონურია) 18 წლამდე ბავშვთა დახმარება წელიწადში 400 ლარის ოდენობით სათანადო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე.“

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯემალ შავერდაშვილი